სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-01/379

ქ. თბილისი 27 დეკემბერი 2018

სტუ-ის ადამიანის პარანომალური შესაძლებლობების კვლევის სამეცნიერო ცენტრისათვის ზ. ბედიას სახელის მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა, და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის №01-05-02.28 ოქმის საფუძველზე **აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ში 2015 წელს დაარსებული „ადამიანის პარანომალური შესაძლებლობების კვლევის სამეცნიერო ცენტრს“ ეწოდოს ამ ცენტრის სულისჩამდგმელის ზურაბ ბედიას სახელი და ის ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით „ზურაბ ბედიას სახელობის ადამიანის პარანორმალური შესაძლებლობების კვლევის სამეცნიერო ცენტრი“.
2. ეთხოვოს სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცება;
3. საკითხს წარადგენს სენატის სხდომაზე პროფ. გ. ღვინეფაძე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.)

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე